გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
21.03.2018	21.03.2018

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	ოთარ ლორთქიფანიძე 01008016897
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1585330
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1585330

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, მცხეთის ქუჩა #35/37-ის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პანდუსის(შშმ) მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge



გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 5.5 კვ.მ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-5/13-48-17

"16" 02 2017 წ.

დადგენილება №000313

სააღსრულებო ფურცელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

სააღსრულებო ფურცლის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო

21.10.2015 წელი

დადგენილების გამოტანის თარიღი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა განიხილა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე ამხანაგობა "მცხეთის ქ. №35-37"-ის მიმართ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (მის.: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №35-37, საკ. კოდი №01.14.11.031.033) მშენებლობის დადგენილი წესების დარღვევით მიტოვებასთან დაკავშირებით.

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი

დადგინდა:

ამხანაგობა "მცხეთის ქ. №35-37"-ს დაეკისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს ჯარიმა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით ქ. თბილისში, მცხეთის ქ. №35-37-ში (საკ. კოდი №01.14.11.031.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დადგენილი წესების დარღვევით მიტოვებისათვის.

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი: 16.12.2016წ.

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები: სახელმწიფო ბიუჯეტში;

საგადახდო დავალება
Payment Order

1525092465 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 30/04/2018

გადამხდელი / Sender

შპს იქსორი, 405047024

რეფერენსი / Ref. Num.

2024001570

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE58TB7643236050100001

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს იქსორი, 405047024

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405047024

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

30/04/2018

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N001336 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა
Signature

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ___ ___
« 10 » 04 2018 წ.

დადგენილება №001336
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.04.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე. სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განიხილა 2018 წლის 27 მარტის №001336 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი ი.ბ.ა. "მცხეთის ქუჩა №35-37"-ის (მის: ქ. თბილისი, მცხეთის ქ. №35-37, საკ. კოდი №01.14.11.031.033) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მცხეთის ქ. №35-37, საკ. კოდი №01.14.11.031.033-ში ი.ბ.ა. "მცხეთის ქუჩა №35-37"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის №20/318 13.08.2003წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -6.10 ნიშნულზე „დ-დ" და „5-5" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ გაუქმებულია ფართი. „ა-დ" მონაკვეთში „6-6" ღერძის მიმდებარედ გაზრდილია პანდუსის სიგრძე. „ა-ა" ღერძის გარეთ „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ფართი. გაზრდილია სართულის სიმაღლე. ±0.00 ნიშნულზე „1-1" და „ბ-ბ" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ, გარეთ გაუქმებულია მონოლითური ფილის ნაშვერი. „ა-ა" ღერძის გარეთ „2-3" მონაკვეთში და „5-5" ღერძზე გაუქმებულია შენობაში შესასვლელი კიბეები. +3.30 ნიშნულზე „2-2" და „ა-ა" ღერძების მიმდებარედ შეცვლილია მომრგვალებული მონოლითური ფილის ფორმა. +19.80 ნიშნულზე „ე-ა", „1-3", „4-6" და „6-1" მონაკვეთებში სართულშუა გადახურვის მონოლითური ფილა გადასულია გარეპერიმეტრის კოლონების გარეთ. +18.15 და +21.45 ნიშნულებზე „3-4" მონაკვეთში „ა-ა" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილები. +23.10 ნიშნულზე „ე-ა", „1-3", „4-6" და „6-1" მონაკვეთებში გაუქმებულია გარეპერიმეტრის კოლონებს გარეთ საპროექტო სართულშუა გადახურვის ფილის ნაშვერი. „დ-ე" და „6-5" მონაკვეთების გადაკვეთაზე შეცვლილია აივნის კონფიგურაცია და შემცირებულია გაბარიტი. +26.40 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში „ა-ა" ღერძის გარეთ შემცირებულია აივნის გაბარიტი. „4-3" და „გ-ბ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია კიბე და +29.70 ნიშნულზე ღიობი სართულშუა გადახურვის მონოლითურ ფილაში. +29.70 ნიშნულზე „ე-ბ" მონაკვეთში „1-1" ღერძის მიმდებარედ და „ე-ა" და „1-2" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა. „3-4" მონაკვეთში „ა-ა" ღერძის გარეთ ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია

ქ. თბილისი 0160, შ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მონოლითური ფილა. „4-5" და „ბ-გ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია კიბე და +33.20 ნიშნულზე ღიობი სართულშუა გადახურვის მონოლითურ ფილაში. +33.20 ნიშნულზე შეცვლილია სართულშუა გადახურვის მონოლითური ფილის კონფიგურაცია და შეცვლილია გაბარიტები. „1-3" და „ე-ა" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია ტერასა. ასევე გაუქმებულია დონეები და გაზრდილია სართულის ნაწილის სიმაღლე. სახურავზე შეცვლილია გადახურვის მონოლითური ფილის კონფიგურაცია და გაზრდილია გაბარიტები. ნიშნულების ნაწილზე შეცვლილია კოლონების რაოდენობა, გაზრდილია ნაწილის გაბარიტები და შეცვლილია ნაწილის ადგილმდებარეობა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა. გაზრდილია რიგულების რაოდენობა. „ბ-ა" და „3-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე ნიშნულების ნაწილზე შეცვლილია კიბის მარშების ფორმა და შემცირებულია საფეხურების ნაწილის გაბარიტები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ბაქნების ფორმა და გაბარიტები. შეცვლილია კარის და ფანჯრის ღიობების რაოდენობა და ნაწილის გაბარიტები. გათხელებულია გარეპერიმეტრის კედლების ნაწილი. განსხვავებული ფაქტურით არ არის გამოყოფილი ბლოკის და მონოლითური კედლები. შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

2018 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001336 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01180921308-17 02.04.2018წ. და №19/0118092424-17 02.04.2018წ. განცხადებები; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 15000 (თხუთმეტიათასი) ლარის ოდენობით. საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს". შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი.ბ.ა. "მცხეთის ჭუბა №35-37"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მცხეთის ქ. №35-37, საკ. კოდი №01.14.11.031.033-ში ი.ბ.ა. "მცხეთის ჭუბა №35-37"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის №20/318 13.08.2003წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. ი.ბ.ა. "მცხეთის ქუჩა №35-37" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათახი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ი.ბ.ა. "მცხეთის ქუჩა №35-37"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ი.ბ.ა. "მცხეთის ქუჩა №35-37"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის მოადგილე **გ. ჯაფარიძე**

საქართველო

სანოტარო აქტი

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მცხეთის ქუჩა №35-37“-ის დაფუძნების შესახებ

2004 წლის 12 მარტი

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
მარჯანიშვილის ქ. №5, მე-2 სართული,
ოთახი №26-27, 0102 ქ. თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: 941535

რეგისტრირებულია სანოტარო აქტების საერთო რეესტრში №1-224

სანოტარო აქტი

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა

„მცხეთის ჭუჩა №35-37“-ის

დაფუძნების შესახებ

საქართველო

ორიათას ოთხი წლის თორმეტ მარტს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5, მეორე სართული, ოთახი №26, მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

1. ქალბატონმა ნორა ხაზარაძემ (დაბადებული 25.03.1924 წ. ქუთაისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №37, პენსიონერი, პირადი №01008014823, პირადობის მოწმობა: №გ 0169945, გაცემული 11.10.1997 წ. თბილისის ვაკის რაიონის შს სამმართველოს მიერ);

2. ქალბატონმა მარინა ბაკურაძემ (დაბადებული: 24.03.1948წ. თბილსში. პირადი №01009016454, პირადობის მოწმობის № დ 0334710, გაცემული 30.10.2001წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს II განყოფილების მიერ, მცხოვრები; ქ. ტბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი მე-5 კვარტალი, მე-2 კორპუსი, ბინა №12. გაცხადებული პროფესიით - პედაგოგი).

3. ქალბატონმა ქეთევან ციციშვილმა (დაბადებული: 05.07.1961წ. თბილისში, პირადი № 01024006884, პირადობის მოწმობის №დ 0359636, გაცემული: 27.06.2001წ. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მიერ, მცხოვრები: ქ. თბილისში, ყაზბეგის ქ. №17, გაცხადებული პროფესიით – მხატვარი)

4. ბატონმა გიორგი გოგიბერიძემ (დაბადებული 21.03.1964 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბის ქუჩა №22, ბინა №21, გაცხადებული პროფესიით – ინჟინერი, პირადი №01007005214, პირადობის მოწმობა: №ბ 0103885, გაცემული 01.08.1996 წ. თბილისის დიდუბის რაიონის შს მეორე ქვეგანყოფილების მიერ)

გიორგი გოგიბერიძემ განაცხადა, რომ იგი არის შპს “რვალის” დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

თავისი უფლებამოსილების დასტურად გიორგი გოგიბერიძემ წარმოდგინა შემდეგი დოკუმენტები:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს “რვალის” შესახებ (გაცემული 11.03.2004 წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ) (თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს).

2) შპს “რვალის” წესდება (ახალი რედაქცია, დამოწმებული 24.01.2004 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-16).

3) შპს “რვალის” პარტნიორთა თანხმობა (დამოწმებული 12.03.2004 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-223).

მითითებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ შპს “რვალის“ (რეგისტრირებული 10.05.2002 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის №5/4-3202, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №33) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს

საზოგადოების დირექტორს, ხოლო საზოგადოების დირექტორია გიორგი გოგიბერიძე; პარტნიორები თანახმანი არიან, შპს "რვალმა" ზემოთმითითებულ პირებთან ერთად შექმნას ამხანაგობა საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით და აიღოს შესაბამისი ვალდებულებები.

ქალბატონებმა ნორა ხაზარაძემ, ქეთევან ციციშვილმა და მარინა ბაკურაძემ, აგრეთვე შპს "რვალმა" მოითხოვეს ამხანაგობა "მცხეთის ქუჩა №35-37"-ის დაფუძნების შესახებ წერილობითი აქტის შედგენა და მისი მიღება (სანოტარო წესით დამოწმება) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

"მუხლი 1.
ამხანაგობის სახელწოდება,
დამფუძნებლები (მონაწილეები) და სტატუსი

1. ამხანაგობის სრული სახელწოდებაა "ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მცხეთის ქუჩა №35-37" (შემდგომში – "ამხანაგობა").

2. ამხანაგობის ხელმძღვანელობის ადგილსამყოფელი განთავსებული იქნება მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №33.

3. წინამდებარე აქტის დამოწმების დღისათვის ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან:

1) ნორა ხაზარაძე (დაბადებული 25.03.1924 წ. ქუთაისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №37, პენსიონერი, პირადი №01008014823, პირადობის მოწმობა: №ბ 0169945, გაცემული 11.10.1997 წ. თბილისის ვაკის რაიონის შს სამმართველოს მიერ);

2) მარინა ბაკურაძე (დაბადებული: 24.03.1948წ. თბილსში. პირადი №01009016454, პირადობის მოწმობის № დ 0334710, გაცემული 30.10.2001წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს II განყოფილების მიერ, მცხოვრები; ქ. ტბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი მე-5 კვარტალი, მე-2 კორპუსი, ბინა №12. გაცხადებული პროფესიით – პედაგოგი).

3) ქეთევან ციციშვილი (დაბადებული: 05.07.1961წ. თბილისში, პირადი № 01024006884, პირადობის მოწმობის №დ 0359636, გაცემული: 27.06.2001წ. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მიერ, მცხოვრები: ქ. თბილისში, ყაზბეგის ქ. №17, გაცხადებული პროფესიით – მხატვარი)

4) შპს "რვალი" (რეგისტრირებული 10.05.2002 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის №5/4-3202, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №33).

4. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და იგი არ ისახავს სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით. ამხანაგობა შექმნილია წინამდებარე აქტის მე-2 მუხლით დადგენილი მიზნით.

5. ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში გახსნის საბანკო ანგარიშებს, მათ შორის, სავალუტო ანგარიშს.

6. გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციისა და საბანკო ანგარიშის გახსნისათვის საკმარისი იქნება ამხანაგობის წარმომადგენლის უფლებამოსილების მქონე პირების (ამხანაგობის თავმჯდომარის) მიერ წინამდებარე აქტის დედნის, ან დამოწმებული ასლის წარდგენა.

მუხლი 2.
ამხანაგობის მიზანი

1. ამხანაგობის დამფუძნებელთა (მონაწილეთა) მიზანია წინამდებარე აქტით განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში – „საცხოვრებელი სახლი“).

2. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს ორი დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთის გაერთიანების შედეგად მიღებულ მიწის ნაკვეთზე. გაერთიანებას ექვემდებარება შემდეგი მახასიათებლების მქონე მიწის ნაკვეთები:

1) – სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 1;
– სექტორი: ვაკე, კოდი: 14;
– კვარტლის №11, ნაკვეთის №31/29; ნაკვეთის წინა №31;
– ფართობი: 522 (ხუთასოცდაორი) კვ. მ.
– ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
– უფლება: საერთო საკუთრება.
– მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/29.
– მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №35.

2) – სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 1;
– სექტორი: ვაკე, კოდი: 14;
– კვარტლის №11, ნაკვეთის №31/30; ნაკვეთის წინა №31;
– ფართობი: 353 (სამასორმოცდაცამეტი) კვ. მ.
– ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
– უფლება: საერთო საკუთრება.
– მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/30.
– მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №37.

– მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი: საერთო სასარგებლო ფართობით 94,53 კვ. მ. (მათ შორის საცხოვრებელი ფართობი: 48,58 კვ.მ.)

3. საცხოვრებელი სახლი იქნება შემდეგი პარამეტრების მქონე:

1) საცხოვრებელი სახლის სართულების რაოდენობა: შვიდი სართული და სარეკრეაციო სართული;

2) საცხოვრებელ სახლში ბინების რაოდენობა: ცამეტი ბინა;

3) სასარგებლო (საერთო) ფართი: 2092,19 (ორიათას ოთხმოცდათორმეტი მთელი და ცხრამეტი მეასედი) კვ. მ.

4) საერთო ფართში არ შედის აივნების ფართობი.

4. სართულებზე ბინები განთავსებული იქნება შემდეგნაირად:

1) **G -1** ავტოფარეხი 418,5 (ოთხასთვრამეტი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ.

2) **G -2** სარდაფი 392,2 (სამასოთხმოცდათორმეტი მთელი და ორი მეათედი) კვ. მ.

3) პირველი სართული:

ა) ბინა №1 – ბინის ფართი: 153,55 (ასორმოცდაცამეტი მთელი და ორმოცდათხუთმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 6,1 (ექვსი მთელი და ერთი მეათედი) კვ. მ.

ბ) სარეკრეაციო ფართი: 246 (ორასორმოცდაექვსი) კვ. მ.

4) მეორე სართული:

ა) ბინა №2 – ბინის ფართი: 74,7 (სამოცდათოთხმეტი მთელი და შვიდი მეათედი) კვ. მ. აივანი: 14 (თოთხმეტი) კვ. მ.

ბ) ბინა №3 – ბინის ფართი: 139,8 (ასოცდაცხრამეტი მთელი და რვა მეათედი) კვ. მ. აივანი: 6,7 (ექვსი მთელი და შვიდი მეათედი) კვ. მ.

გ) ბინა №4 – 167,22 (ასსამოცდაშვიდი მთელი და ოცდაორი მეასედი) კვ. მ. აივანი: 20,6 (ოცი მთელი და ექვსი მეათედი) კვ. მ.

5) მესამე სართული:

ა) ბინა №5 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ.

ბ) ბინა №6 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ.

6) მეოთხე სართული:

ა) ბინა №7 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ.

ბ) ბინა №8 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ.

7) მეხუთე სართული:

ა) ბინა №9 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ.

ბ) ბინა №10 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ.

8) მეექვსე-მეშვიდე სართული:

ა) ბინა №11 (დუპლექსი) – ბინის ფართი: 256,85 (ორასორმოცდათექვსმეტი მთელი და ოთხმოცდახუთი მეასედი) კვ. მ. აივანი: 83,8 (ოთხმოცდასამი მთელი და რვა მეათედი) კვ. მ.

9) მეექვსე სართული:

ა) ბინა №12 – ბინის ფართი: 162,94 (ასსამოცდაორი მთელი და ოთხმოცდათოთხმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 33 (ოცდაცამეტი) კვ. მ.

10) მეშვიდე სართული:

ა) ბინა №13 – ბინის ფართი: 139,87 (ასოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 39,4 (ოცდაცხრამეტი მთელი და ოთხი მეათედი) კვ. მ.

11) სხვენ-სართული:

სარეკრეაციო ფართი: 140 (ასორმოცი) კვ. მ.

5. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დაიწყოს არაუგვიანეს წინამდებარე აქტის მიღების დღეს; და მისი ექსპლუატაციაში მიღება უნდა მოხდეს არაუგვიანეს ორიათასხუთი წლის პირველი ივლისისა.

მუხლი 3.
დამფუძნებელთა (მონაწილეთა) შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

1. ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) ამხანაგობაში შეაქვთ უძრავი ქონება და სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა, მითითებული ამ მუხლის მომდევნო პუნქტებში.

2. ნორა ხაზარაძის შენატანი ამხანაგობაში: შემდეგი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობითურთ):

– სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 1;
– სექტორი: ვაკე, კოდი: 14;
– კვარტლის №11, ნაკვეთის №31/30; ნაკვეთის წინა №31;
– ფართობი: 353 (სამასორმოცდაცამეტი) კვ. მ.
– ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
– უფლება: საერთო საკუთრება.
– მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/30.

– მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №37.

– მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობანი: საერთო სასარგებლო ფართობით 94,53 კვ. მ. (მათ შორის საცხოვრებელი ფართობი: 48,58 კვ.მ.)

ამასთანავე, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობანი ექვემდებარება დანგრევას.

3. მარინა ბაკურაძისა და ქეთევან ციციშვილის შენატანი ამხანაგობაში: შემდეგი მახასიათებლების მქონე უძრავი ქონება:

– სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 1;
– სექტორი: ვაკე, კოდი: 14;
– კვარტლის №11, ნაკვეთის №31/29; ნაკვეთის წინა №31;
– ფართობი: 522 (ხუთასოცდაორი) კვ. მ.
– ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
– უფლება: საერთო საკუთრება.
– მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/29.
– მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა №35.

4. წინამდებარე აქტის მიღების (სანოტარო წესით დამოწმების) დღისათვის ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტებში მითითებული შენატანები წარმოადგენს ამ შემტანთა საკუთრებას, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 09.03.2004 წ. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 რეგისტრატურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/30, განაცხადის რეგისტრაციის №2079/2004, თარიღი: 27.01.2004;

2) ნაჩუქრობის ხელშეკრულება (დამოწმებული 27.04.1974 წ. ნოტარიუს გ. ამისულაშვილის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №13-6-1051);

3) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 05.03.2004 წ. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის №1 რეგისტრატურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №1/14/11/31/29, განაცხადის რეგისტრაციის №39549/2003, თარიღი: 13.11.2003 (დანართი საკადასტრო რუკა).

4) ნაჩუქრობის ხელშეკრულება (დამოწმებული 26.03.1980 წ. ნოტარიუს ე. მამულაშვილის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №1-6-67).

5) ნაჩუქრობის ხელშეკრულება (დამოწმებული 12.03.1969 წ. ნოტარიუს გ. ჭელიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №3-450) –ასლი (გაცემული თბილისის ცენტრალური არქივის მიერ, საფუძველი: ფ №188, აღწ.№6, საქ. №3370);

6) ანდერძისმიერი სამემკვიდრეო მოწმობა (გაცემული 3.04.1997 წ. ნოტარიუს ც. ბერიძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის №2-344).

5. მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა განცხადებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის სადავო, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

1) საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ 2004 წლის 12 მარტს გაცემული №6467 ცნობა;

2) საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ 2004 წლის 12 მარტს გაცემული №6415 ცნობა.

6. მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა განცხადებით, მესამე პირებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე პრეტენზია მიწის ნაკვეთის მიმართ, მათ შორის, პრეტენზია საკუთრების უფლებაზე. მათ ამხანაგობაში შენატანი მიღებული აქვთ მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

7. შპს "რვალს" ამხანაგობაში შენატანის სახით ევალება საცხოვრებელი სახლის აშენების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით. ამხანაგობის სხვა წევრები არ მონაწილეობენ საცხოვრებელი სახლის აშენების დაფინანსებაში.

8. საცხოვრებელი სახლის აშენების უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება-დამტკიცებას, ისე მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფას. მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფაში იგულისხმება საცხოვრებელი სახლის აშენება ისეთ მდგომარეობაში, რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მისაღებად (მათ შორის, თითოეული ბინის ტიხრები ამოყვანილი, შიგნიდან გაჯით გალესილი კედლები, გარე პერიმეტრზე ჩასმული მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, თითოეულ ბინაზე დაყენებული რკინის კარი, იატაკებზე მოჭიმული ცემენტი, წერტილების დასამონტაჟებლად სანტექნიკის მილები მიყვანილი, დამონტაჟებული ელექტროგაყვანილობა, ფასადი და სადარბაზო დასრულებული სახით – შეღებილი ან მოპირკეთებული პროექტის მიხედვით, სადარბაზოში დამონტაჟებული ლიფტი და ელექტროგაყვანილობა, საცხოვრებელ სახლში მიყვანილი ბუნებრივი გაზის მილები (ბინებში დამონტაჟების გარეშე), ამასთანავე, ამხანაგობაში უძრავი ქონების შემტანი პირებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ბინები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ამასთანავე, ამხანაგობის იმ წევრებისათვის განკუთვნილი ბინები, რომლებმაც ამხანაგობაში შენატანის სახით შეიტანეს მიწის ნაკვეთები, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს:

თითოეული ბინა უნდა იყოს გარემონტებული საშუალო ხარისხის მასალით მაქსიმალურად კარგი შესრულებით. სარემონტო სამუშაოების პროექტი და სარემონტო მასალების შერჩევა მოხდება ამხანაგობის იმ მონაწილეებთან წერილობითი შეთანხმებით, რომელთათვისაც განკუთვნილი იქნება გასარემონტებელი ბინა. შეთანხმება არ საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას.

9. მშენებლობის დაფინანსება მოხდება მშენებლობის დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

10. ამხანაგობის მონაწილეთა შენატანები ხდება ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაღუპვის (განადგურების) შემთხვევაში.

11. ამხანაგობის თითოეული მონაწილის შენატანის ოდენობა, რაც დადგენილია წინამდებარე აქტით, არ შეიძლება გაიზარდოს მისი თანხმობის გარეშე.

12. ამხანაგობის მონაწილენი, რომლებმაც შენატანის სახით შეიტანეს მიწის ნაკვეთი, ამხანაგობის სხვა მონაწილეების წინაშე პასუხს აგებენ, თუ მიწის ნაკვეთი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლული. პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებითაც დადგენილია გამყიდველის პასუხისმგებელობა უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვის შემთხვევისათვის, კერძოდ:

იმ შემთხვევაში, თუ შენატანი აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან თავიანთი ხარჯით გამოასწორონ ეს ნაკლი. თუ ამხანაგობის სხვა წევრები არ მოითხოვენ ნაკლის გამოსწორებას ამხანაგობის წევრების ხარჯით, ისინი უფლებამოსილნი არიან გამოასწორონ ნაკლი თავიანთი ხარჯით და, შესაბამისი ოდენობის ფართი მოაკლდეს შენატანის განმხორციელებელი ამხანაგობის წევრებისათვის გადასაცემ ფართებს.

13. ამხანაგობის მონაწილე, რომელსაც შენატანის სახით ეკისრება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უზრუნველყოფა, ამხანაგობის სხვა მონაწილეების წინაშე პასუხს აგებს მშენებლობის დაუფინანსებლობისათვის სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილ გრაფიკზე ორი თვის ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში და, თუ დაუფინანსებლობა გამოწვეულია მისი ბრალით, კერძოდ, მას

ამხანაგობის სხვა მონაწილეების სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ეტაპზე შესატანი თანხის ნოლი მთელი და ერთი მეათედი პროცენტის (0,1%-ის) ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, აგრეთვე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. პირგასამტეხლოს დარიცხვა იწყება ვადის დარღვევიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, ამასთანავე, მხედველობაში მიიღება თითოეული ვადაგადაცილებული დღე (პირგასამტეხლო დაერიცხება ორი თვის ვადის ათვლის დასაწყისი დღიდან). პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომელიც არსებობს ამხანაგობის მონაწილე ვალდებული პირის ნებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ვალდებული პირების ძალისხმევით (ფორს-მაჟორული გარემოებები).

14. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მიზანი ვერ იქნება მიღწეული და ამ საფუძვლით მოხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია, ამხანაგობის ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება (თუკი იგი ლიკვიდაციის შემდეგ არ გამოვა ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებიდან – ამხანაგობის ვალების დაფარის მიზნით მისი რეალიზაციის შედეგად) განაწილდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის შემდეგი წესით:

ა) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდა მშენებლობის დაწყებამდე, მაშინ მიწის ნაკვეთი სრულად დარჩება ამხანაგობის იმ მონაწილეებს, რომლებმაც შეიტანეს მიწის ნაკვეთი ამხანაგობაში, ასევე ამ პირებს დარჩებათ უფლება სამშენებლო დოკუმენტაციაზე (საცხოვრებელი სახლის პროექტი, მშენებლობის ნებართვა და სხვა მსგავსი უფლებები).

ბ) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება მშენებლობის დაწყების შემდეგ ისე, რომ აშენებული იქნება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომლის ფართი იქნება არაუმეტეს ამხანაგობაში მიწის ნაკვეთის შემტანი მონაწილეებისათვის განკუთვნილ ფართისა, მაშინ ამხანაგობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება სრულად დარჩება ამხანაგობაში მიწის ნაკვეთის შემტან მონაწილეებს.

გ) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება მშენებლობის დაწყების შემდეგ ისე, რომ აშენებული იქნება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომლის ფართი იქნება მეტი ამხანაგობაში მიწის ნაკვეთის შემტანი მონაწილეებისათვის განკუთვნილ ფართზე, მაშინ ამხანაგობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება განაწილდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის ისე, რომ ამხანაგობაში მიწის ნაკვეთის შემტან მონაწილეებს დარჩებათ იდეალური წილი ქონებაზე მათ მიერ მისაღები ფართების პროპორციულად, ხოლო დანარჩენ ქონებაზე იდეალური წილი ექნება შპს "რვალს".

15. ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ, დარჩენილი ქონება გაჰყიდონ და ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი წესით გაინაწილონ გაყიდვით მიღებული თანხა.

16. ამხანაგობის თითოეული მონაწილე პასუხს აგებს ამხანაგობის სხვა წევრებისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამასთანავე, ეს ზიანი არ შეიძლება დაიფაროს ამხანაგობის მიერ მიღებული შემოსავლებით.

მუხლი 4.
მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

1. თითოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს ამხანაგობის მონაწილეთა საერთო კრების თანხმობით.

უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. წილის გადაცემა გულისხმობს უფლების გადაცემას და არა წილის შესაბამისი მატერიალური ნივთის (მიწის ნაკვეთი და სხვა) გასხვისებას.

წილის გასხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებასა და წინამდებარე აქტში შესაბამისი ცვლილების შეტანას, აგრეთვე საჯარო რეესტრში აღრიცხვას.

2. წილის გაყიდვის შემთხვევაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

3. დამფუძნებელი, რომელიც აპირებს წილის მესამე პირისათვის მიყიდვას, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ყველა დამფუძნებელს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წილის გამყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ათ კალენდარულ დღეზე ნაკლები. თუ დადგენილ ვადაში უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მხარე არ განახორციელებს თავის უფლებას, წილის გამყიდველი უფლებამოსილია წილი მიჰყიდოს მესამე პირს.

4. დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე აქტიდან, არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.

5. ამხანაგობის მონაწილეს უფლება აქვს, აუშენებელი ბინა, რომელიც საჯარო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის სახით აღრიცხულია მის სახელზე, საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდოს მესამე პირს. ამგვარი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში აუცილებელია ნასყიდობის ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცეს ამხანაგობის თავმჯდომარეს. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს საჯარო რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე და წინარე ხელშეკრულება წინასწარი ჩანაწერის განხორციელების მიზნით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესასრულებლად ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება დასაშვებია საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ბინის მყიდველი არ ხდება ამხანაგობის წევრი, ხოლო ბინის გამყიდველს არ უმცირდება ამხანაგობის წინაშე რაიმე უფლება-მოვალეობანი.

6. თუ საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მყიდველი მხარე საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების წინ (ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების დაწყების წინ) გამოხატავს ამხანაგობაში გაწევრიანების სურვილს და საცხოვრებელი ბინის გამყიდველი მას დაუთმობს შესაბამის წილს, ამხანაგობის წევრები წინასწარ გამოხატავენ თანხმობას საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მხარეებს შორის ამგვარი გარიგების დადების შესახებ და ბინის გამყიდველი თავისი წილის ნაწილის მყიდველისათვის გადაცემის გამო არ საჭიროებს დამატებით თანხმობას ამხანაგობის წევრებისაგან. ითვლება, რომ წინამდებარე ნორმა წარმოადგენს ამხანაგობის წევრების მიერ გასაყიდი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარს და წილის გაყიდვის შესახებ სანოტარო წესით გაცხადებულ თანხმობას.

მუხლი 5.
ამხანაგობის ხელმძღვანელობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე.

ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობა წარმოადგინოს დამოუკიდებლად, მათ შორის, სასამართლოსა და საბანკო ურთიერთობებში, დადოს გარიგებები ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე, გარდა ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა.

2. ამხანაგობის სახელით შემდეგი გარიგებები დაიდება მხოლოდ ამხანაგობის ყველა წევრის (მონაწილის) თანხმობით:

ა) ამხანაგობის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და კრედიტის (სესხის) უზრუნველყოფის (იპოთეკა, გირავნობა და სხვა) ხელშეკრულება;

ბ) ამხანაგობის მიერ თავდებობის წერილის გაცემა, ან სხვა მსგავსი გარიგება, მესამე პირთა გარანტიის (თავდებობის) მიღება.

გ) ამ აქტით დადგენილი სხვა გარიგება.

3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

4. ამხანაგობის თითოეული წევრი (მონაწილე) უფლებამოსილია თავმჯდომარისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი), დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

5. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

6. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

7. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა დამფუძნებლებს (მონაწილეებს).

8. ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლა საჭიროებს წინამდებარე აქტში ცვლილების შეტანას. კრებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ესწრება და ოქმს ადგენს ნოტარიუსი. კრების ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე. დასაშვებია ოქმზე კრების სხვა მონაწილეთა ხელმოწერებიც. თუ რაიმე მიზეზით კრების თავმჯდომარე არ აწერს ხელს კრების ოქმს, ამის შესახებ ნოტარიუსი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმს ხელი უნდა მოაწეროს კრების ერთმა მონაწილემ მაინც.

9. ამხანაგობის თავმჯდომარედ ინიშნება ვასილ ზანდუკელი (დაბადებული 02.09.1952 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ბეთლემის ქუჩა №19, გაცხადებული პროფესიით – ინჟინერი, პირადი №01003003051, პირადობის მოწმობა: №დ 0394348, გაცემული 28.05.2003 წ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის I განყოფილების მიერ).

მუხლი 6
გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. დამფუძნებლები (მონაწილეები) გადაწყვეტილებას იღებენ ხმათა უმრავლესობით, თუ ამ აქტით დადგენილი არ არის გადაწყვეტილების მიღება ერთხმად.

2. ერთ დამფუძნებელს (მონაწილეს) აქვს ერთი ხმა მიუხედავად მისი წილისა.

მუხლი 7.
ბინების გადანაწილების წესი

1. სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების (კორექტირების) ხარჯების გაღება ევალება შპს "რვალს".

2. ამხანაგობის თითოეული წევრი მიიღებს შემდეგ ფართებს:

1) ნორა ხაზარაძე:

ა) ბინა №2 – ბინის ფართი: 74,7 (სამოცდათოთხმეტი მთელი და შვიდი მეათედი) კვ. მ. აივანი: 14 (თოთხმეტი) კვ. მ. (მეორე სართული).

ბ) ბინა №5 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ. (მესამე სართული);

გ) ბინა №6 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ. (მესამე სართული).

დ) სამი ერთეული ავტოფარეხი (ავტოსადგომი).

2) მარინა ბაკურაძე:

ა) ბინა №7 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ. (მეოთხე სართული);

ბ) ბინა №8 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ. (მეოთხე სართული);

გ) ბინა №9 – ბინის ფართი: 160,67 (ასსამოცი მთელი და სამოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 38,9 (ოცდათვრამეტი მთელი და ცხრა მეათედი) კვ. მ.

დ) ბინა №10 – ბინის ფართი: 171,57 (ასსამოცდათერთმეტი მთელი და ორმოცდაჩვიდმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 25,5 (ოცდახუთი მთელი და ხუთი მეათედი) კვ. მ. (მეხუთე სართული).

ე) ოთხი ერთეული ავტოფარეხი (ავტოსადგომი);

3) ქეთევან ციციშვილი:

ა) ბინა №12 – ბინის ფართი: 162,94 (ასსამოცდაორი მთელი და ოთხმოცდათოთხმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 33 (ოცდაცამეტი) კვ. მ.

ბ) ერთი ერთეული ავტოფარეხი (ავტოსადგომი).

4) შპს "რვალი": დანარჩენი ფართი (აივნების ჩათვლით) და ავტოფარეხები, კერძოდ:

ა) **G -2** სარდაფი 392,2 (სამასოთხმოცდათორმეტი მთელი და ორი მეათედი) კვ. მ.

ბ) პირველი სართული:

– ბინა №1 – ბინის ფართი: 153,55 (ასორმოცდაცამეტი მთელი და ორმოცდათხუთმეტი მეასედი) კვ. მ. აივანი: 6,1 (ექვსი მთელი და ერთი მეათედი) კვ. მ.

– სარეკრეაციო ფართი: 246 (ორასორმოცდაექვსი) კვ. მ.

გ) მეორე სართული:

– ბინა №3 – ბინის ფართი: 139,8 (ასოცდაცხრამეტი მთელი და რვა მეათედი) კვ. მ. აივანი: 6,7 (ექვსი მთელი და შვიდი მეათედი) კვ. მ.

– ბინა №4 – 167,22 (ასსამოცდაშვიდი მთელი და ოცდაორი მეასედი) კვ. მ. აივანი: 20,6 (ოცი მთელი და ექვსი მეათედი) კვ. მ.

დ) მეექვსე-მეშვიდე სართული:

– ბინა №11 (დუპლექსი) – ბინის ფართი: 256,85 (ორასორმოცდათექვსმეტი მთელი და ოთხმოცდახუთი მეასედი) კვ. მ. აივანი: 83,8 (ოთხმოცდასამი მთელი და რვა მეათედი) კვ. მ.

ე) მეშვიდე სართული:

– ბინა №13 – ბინის ფართი: 139,87 (ასოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაშვიდი მეასედი) კვ. მ. აივანი: 39,4 (ოცდაცხრამეტი მთელი და ოთხი მეათედი) კვ. მ.

ვ) სხვენ-სართული:

სარეკრეაციო ფართი: 140 (ასორმოცი) კვ. მ.

ზ) ავტოფარეხები (რომლებიც არ ეკუთვნის ამხანაგობის სხვა მონაწილეებს).

3. ბინის ფართებში არ შედის აივნების ფართები.

4. დასაშვებია, პროექტის კორექტირების გამო შეიცვალოს თითოეული ბინის ფართი მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთანავე, დაუშვებელია კორექტირების გამო თითოეული ამხანაგობის წევრისათვის ამ მუხლის მეორე პუნქტის პირველ, მეორე და მესამე ქვეპუნქტებში მითითებული ფართის შემცირება. ამხანაგობის იმ მონაწილეებს, რომლებმაც ამხანაგობაში შეიტანეს მიწის ნაკვეთი, კორექტირების შედეგად ფართის მომატების შემთხვევაში დამატებული ფართი გადაეცემათ უსასყიდლოდ.

5. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ბინის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ საცხოვრებელი ბინებისა და აივნების ფართები აღმოჩნდება იმ ფართებისაგან განსხვავებული, ვიდრე ესაა მითითებული წინამდებარე აქტში, საჯარო რეესტრში ჩაიწერება ფართების ფაქტიურად არსებული ოდენობა წინამდებარე აქტში ცვლილებების შეტანის გარეშე და საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერს მიენიჭება უპირატესობა წინამდებარე აქტში მითითებულ მონაცემებთან შედარებით.

6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

მუხლი 8.
დამფუძნებელთა (მონაწილეთა) პასუხისმგებლობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) სოლიდარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალებისათვის მესამე პირების წინაშე.

2. ამხანაგობის თითოეული წევრის (მონაწილის) პასუხისმგებლობა ერთმანეთთან ურთიერთობაში განისაზღვრება შემდეგნაირად: სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შპს "რვალს".

3. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს (მონაწილეს) მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

4. დამფუძნებლები (მონაწილეები) ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 9.
ამხანაგობიდან გასვლის წესი

1. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

ამხნაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე სამი თვით ადრე წერილობით აცნობოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

2. ამხანაგობიდან ერთერთი დამფუძნებლის (მონაწილის) გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მონაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

3. გამსვლელ დამფუძნებელს (მონაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

4. თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ უარყოფს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მონაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მონაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

მუხლი 10.
ამხანაგობის ვადა

1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით.

2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი (მონაწილე);

ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

2. ამხანაგობის ერთერთი დამფუძნებლის (მონაწილის) უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება, ლიკვიდაცია) მის ადგილს იკავებს მემკვიდრე, თუ სხვა დამფუძნებლები (მონაწილენი) არ განაცხადებენ უარს ამხანაგობის საქმიანობის გაგრძელებაზე.

3. ერთერთი მონაწილე-ფიზიკური პირის (დამფუძნებლის) არაქმედუნარიანად გამოცხადება არ იწვევს ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას. არაქმედუნარიანად ცნობილი პირის უფლებებს განახორციელებს მისი მეურვე.

მუხლი 11.
ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი

1. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, შემდეგ დაიფაროს არსებული ვალები. თუ ამხანაგობის საქმიანობით მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი ვალების დასაფარავად, დამფუძნებლები (მონაწილენი) ვალდებულნი არიან ვალები დაფარონ თავიანთი ქონებიდან მათი წილების პროპორციულად.

2. ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება ნაწილდება წინამდებარე აქტის მესამე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 12.
ამხანაგობის წიგნი და მისი წარმოების წესი

